ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 310

“20” ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის №20.1226.1527 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405243482) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა)შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად: საკადასტრო კოდზე №01.13.05.004.173 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირებით საკადასტრო კოდთან №01.13.05.004.142 მიმართებაში - ფართის უცვლელად; საკადასტრო კოდზე №01.13.05.004.059 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირებით საკადასტრო კოდთან №01.13.05.004.142 მიმართებაში ფართის უცვლელად;

ბ)კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2) განისაზღვროს- 8.5-ით;

გ)შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად სიმაღლის სხივის დაუცველად, წითელი ხაზების კორექტირებით;

დ)მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაანგარიშება მოხდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

ე)მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 450-მდე ერთეულით. ამასთან, მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის ფართი განისაზღვროს - კ1-0.7-ით;

ვ)განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა ავტოსაშხეფი სისტემის გამოყენებისა საცხოვრებელ ბინებში და გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია და ფიზიკურად შეუძლებელია მისი დაცვა;

ზ)ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიით წარმოდგენილ პირთა, შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" კრედიტორ პირთა და სასამართლო აღსრულების ფარგლებში წარმოდგენილი პირების გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტსა" და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგს", შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ სიტის" შორის 2020 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგისთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე